

შეტყობინება მეთორთმეტე

ვიაროთ სიცოცხლის გზით უფლის აღდგენაში

ადგილები წერილიდან: რუთი 1:16-17, 20-21; 2:10-16; 3:1, 7-13; 4:9-15; მათე 7:13-14

- I. სამი წიგნი – იესო ნავეს ძის წიგნი, მსაჯუთა წიგნი და რუთის წიგნი – წარმოადგენს ნათელ სურათს ღმერთის მოძრაობის ორი ასპექტისა: მისი მოძრაობა მის სახლმშენებლობით სულში, ძალის სულში, და მისი მოძრაობა მის არსებით სულში, სიცოცხლის სულში – მსაჯ. 13:25; 14:6; იოანე 20:22; საქმე. 1:8; რომ. 8:2:
- იესო ნავეს ძის, ქალებისა და ყველა მსაჯულის შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ღმერთის მოძრაობას ძალაში, რისი ილუსტრაციაც არის სამსონი, როგორც ის, ვინც მოძრაობს ძალის სულში, და არა სიცოცხლის სულში – მსაჯ. 14:6.
 - ამისგან განსხვავებით რუთის წიგნი – არის სიცოცხლის წიგნი; ამ წიგნის მიზანია არა ის, რომ მოგვიყვეს ჩვენ რაღაც ძალის შესახებ, არამედ მაქსიმალურად გაგვისხნას ის, რაც მიეკუთვნება სიცოცხლეს, გამოიყენოს მაგალითის სახით ნაყომი, რუთი და ბოყაზი – 1:16-17, 20-21; 2:10-16; 3:1, 7-13; 4:9-15.
 - უფლის აღდგენაში ჩვენ არ უნდა ვიაროთ მსაჯულების გზით იმ მიზნით, რომ ავივსოთ ძალით და შევასრულოთ დიადი სამუშაო; თუ ჩვენ ავირჩევთ ძალის გზას, და არა სიცოცხლის გზას, მაშინ ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არ ექნება არავითარი მნიშვნელობა.
 - ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რომ მხოლოდ სიცოცხლეს შეუძლია, წარმოშვას ქრისტე – ლუკა 1:35:
 - მხოლოდ სიცოცხლეს შეუძლია, მოიყვანოს ღერთი კაცობრიობაში, წარმოქმნას ქრისტე, მიიტანოს ქრისტე და მოამარაგოს მთელი ადამიანური მოდგმა ქრისტეთი – მათე 1:18, 20-21.
 - ეს იყო ადსრულებული რუთისა და ბოყაზის მიერ, იმ ადამიანების მიერ სიცოცხლეში, რომლებიც დადიოდნენ სიცოცხლის გზით.
- II. ღმერთის სიცოცხლის ღვთაებრივი და მარადიული ბუნების თანახმად, ღმერთის სიცოცხლე არის უნიკალური სიცოცხლე; მხოლოდ ღმერთის სიცოცხლე შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლედ – იოანე 1:4; 10:10ბ; 11:25; 14:6:
- სიცოცხლე არის საიდუმლო, რადგან სიცოცხლე არის თვით ღმერთი – 1:1, 14; 5:26; ეფე. 4:18:
 - ღვთაებრივი სიცოცხლე შეიძლება ჩაითვალოს ღმერთის პირველ და ძირითად თვისებად – მუხ. 18; იოანე 5:26; 1 იოანე 5:11-12; რომ. 8:2.
 - სიცოცხლე არის ღმერთის შემადგენლობა და ღმერთის დინება; ღმერთის შემადგენლობა არის ღმერთის არსება, ხოლო ღმერთის დინება არის ჩვენთვის ღმერთის როგორც სიცოცხლის მონიჭება – ეფე. 4:18; გამოცხ. 22:1.
 - სიცოცხლე არის ქრისტე, და სიცოცხლე არის ქრისტე, რომელიც ცხოვრობს ჩვენში და რომელსაც ჩვენ ვავლენთ ჩვენი სიცოცხლით – იოანე 14:6; კოლ. 3:4; გალ. 2:20; ფილიპ. 1:21ა.

4. სიცოცხლე არის წმიდა სული – იოანე 14:16-17; 1 კორ. 15:45ბ; რომ. 8:2; 2 კორ. 3:6.
 5. სიცოცხლე არის გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთი, დარიგებული ჩვენში და მცხოვრები ჩვენში – იოანე 1:14; 7:37-39; 20:22; რომ. 8:10, 6, 11.
- ბ. ღმერთის ჩანაფიქრი ადამიანის შექმნისას თავის სახებად და თავის მსგავსად არის ის, რომ ადამიანმა მიიღოს ის როგორც სიცოცხლე, იმ მიზნით, რომ გახდეს სიცოცხლის ადამიანი, ღმერთკაცი, რომელიც გამოხატავს ღმერთს მის თვისებებში – დაბ. 1:26; 2:9.
- III. ჩვენ უნდა გავიგოთ კეთილისა და ბოროტის ხის მნიშვნელობა და მთლიანად ზურგი შევაქციოთ ამ ხეს და შევპრუნდეთ სიცოცხლის ხისკენ – მუხ. 9, 16-17:**
- ა. სიცოცხლის ხე აღნიშნავს სამერთიან ღმერთს ქრისტეში, რომელიც არიგებს თავის თავს თავის ამორჩეულ ადამიანებში როგორც სიცოცხლეს საკვების სახით – მუხ. 9.
 - ბ. ახალი აღოქმა გვიჩვენებს, რომ ქრისტე არის აღსრულება სიცოცხლის ხის წინასახისა – იოანე 1:1, 4, 14; 11:25; 14:6; 15:1, 5:
 1. იოანეს 1:4-ში ქრისტეზე ნათქვამია: „მასში იყო სიცოცხლე“; ეს მიუთითებს სიცოცხლეზე, რომელსაც აღნიშნავს სიცოცხლის ხე.
 2. სიცოცხლე, ნაჩვენები დაბადების მე-2 თავში, არის სიცოცხლე, განკაცებული ქრისტეში – 1 იოანე 5:11-12; იოანე 1:1, 4, 14.
 3. თუ ჩვენ შევადარებთ იოანეს 1:4-სა და 15:5-ს, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ქრისტე, რომელიც თვითონ არის სიცოცხლე და ასევე ვაზი, არის სიცოცხლის ხე.
 - ბ. კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე ასევე აღნიშნავს სატანს როგორც სიკვდილის სათავეს ადამიანისათვის – ებრ. 2:14:
 1. კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე ასევე აღნიშნავს ყველაფერს, რაც არ არის ღმერთი.
 2. ყველაფერი, რაც არ არის ღმერთი, მათ შორის რაღაც კარგი და დაფუძნებული წერილებზეც და რელიგიური, შეუძლია გამოიყენოს სატანამ, ბოროტმა, რომ მოიტანოს სიკვდილი ეკლესიაში – მათე. 16:18; იგავ. 16:25; 18:21.
 - ც. იოანეს სახარების მე-4, მე-8, მე-9 და მე-11 თავებში მოყვანილია ოთხი შემთხვევა, რომლებიც წარმოადგენენ სიცოცხლის პრინციპს კეთილისა და ბოროტის პრინციპის საწინააღმდეგოდ:
 1. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა კეთილისა და ბოროტზე, არამედ სიცოცხლეზე – 4:10-14, 20-21, 23-24; 8:3-9; 9:1-3; 11:20-27.
 2. საუკეთესო საშუალება, გავარჩიოთ რაღაც არის ის, რომ გავარჩიოთ სიცოცხლის ან სიკვდილის თანახმად, და არა სწორისა და არასწორის, კეთილისა და ბოროტის თანახმად – რომ. 8:6; 2 კორ. 11:3.
- IV. ქრისტე – ჩვენი სიცოცხლე – კოდ. 3:4:**
- ა. ღმერთის სიცოცხლე არის ქრისტეს სიცოცხლე, ხოლო ქრისტეს სიცოცხლე გახდა ჩვენი სიცოცხლე – მუხ. 4; იოანე 5:26:

1. ის, რომ ქრისტე არის ჩვენი სიცოცხლე, ნიშნავს, რომ ის უმაღლეს დონეზე სუბიექტურია ჩვენთვის – 1:4; 14:6ა; 10:10ბ; 1 კორ. 15:45ბ; რომ. 8:10, 6, 11.
 2. შეუძლებელია ადამიანის გამოყოფა ამ ადამიანის სიცოცხლისაგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე არის თვით ადამიანი; აქედან გამომდინარე, სიტყვა იმის შესახებ, რომ ქრისტე არის ჩვენი სიცოცხლე, აღნიშნავს, რომ ქრისტე გახდა ჩვენ და რომ ჩვენ და მას გვაქვს ერთი სიცოცხლე და ერთი ცხოვრება – იოანე 14:6ა; ფილიპ. 1:21ა.
- ბ. ჰეშმარიტება იმის შესახებ, რომ ქრისტე არის ჩვენი სიცოცხლე, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ის როგორც ჩვენი სიცოცხლე და ვიცხოვოთ ის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში – კოლ. 3:4; იოანე 6:57:
1. ქრისტე უნდა იყოს ჩვენი სიცოცხლე პრაქტიკულად და განცდის თვალსაზრისით; ჩვენ დღითი დღე უნდა გადავრჩეთ მის სიცოცხლეში – კოლ. 3:4; 1 კორ. 15:45ბ; რომ. 5:10.
 2. ახალი კაცი არის ბუნებრივი შედეგი იმისა, რომ ჩვენ ვდებულობთ ქრისტეს როგორც ჩვენს სიცოცხლეს და ვცხოვობთ მას – კოლ. 3:3-4, 10-11.
- V. არსებობს ორი შესაძლო გზა ჩვენს ცხოვრებასა და მუშაობაში ღმერთის წინაშე – გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ, და გზა, რომელსაც მივყავართ განადგურებისაკენ – მათე 7:13-14:
- ა. იმისათვის, რომ ვიაროთ გზით, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ, ჩვენ უნდა შევიდეთ ვიწრო კარიბჭით, ხოლო შემდეგ ვიაროთ ვიწრო გზით – მუხ. 13-14:
1. ვიწრო კარიბჭე მოქმედებს არა მარტო გარეგნულ მოქცევაზე, არამედ შინაგან სურვილზეც.
 2. ძველი კაცი, „მე“, ხორცი, ადამიანური წარმოდგენები და ქვეყნიერება მისი დიდებით – ამ ყველაფერს არ შეუძლია შეაღწიოს შიგნით; შესვლა შეუძლია მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება ღმერთის ნებას – მუხ. 21; 12:50.
 3. თავიდან ჩვენ უნდა შევიდეთ ვიწრო კარიბჭით, ხოლო შემდეგ – ვიაროთ შეზღუდული გზით, გზით, რომლის სიგრძეც არის სიცოცხლე და რომელსაც შევყავართ სიცოცხლეში – 7:14.
 4. სიტყვა „სიცოცხლეში“ მათეს 7:14-ში იგულისხმება უსასრულო ნეტარების მდგომარეობა სამეფოში, რომელიც სავსეა ღმერთის მარადიული სიცოცხლით; დღეს ეს სიცოცხლე არის სამეფოს სინამდვილეში, ხოლო მომავალ საუკუნეში ის იქნება სამეფოს გამოვლინებაში – 19:29; ლუკა 18:30.
- ბ. ვრცელი გზა შეესაბამება ქვეყნიურ სისტემებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ბუნებრივ გემოვნებას და მიმართულია ბრძოს ყურადღების მიქცევაზე, ადამიანური კარიერის უზრუნველყოფაზე და ადამიანური ჩანაფიქრების განხორციელებაზე; განადგურებაში, რომლისკენაც მივყავართ ფართო გზას,

იგულისხმება არა დაღუპვა თვით ადამიანისა, არამედ დაღუპვა მის მიერ ჩადენილისა და საქმეების – 1 კორ. 3:15; მათე 13:31-33; გამოცხ. 2:13, 20; 17:4-5.

- გ. უფლის აღდგენის გზა – არის გზა სიცოცხლის, ოომელსაც მივყავართ ცოცხალი ჯილდოსკენ სიცოცხლეში ცათა სამეფოს გამოვლინებაში მომავალ საუკუნეში – ფსალ. 16:11; იერ. 21:8; მათე 19:29; ლუკა 18:30; 1 კორ. 3:13-15; 15:58.

VI. ჩვენ უნდა ვიცხოვოთ სიცოცხლის გრძნობის მეშვეობით – ვიგრძნოთ, გავაცნობიეროთ, დვთაბერივი სიცოცხლე ჩვენში – რომ. 8:6; ეფეს. 4:18-19:

- ა. სიცოცხლის გრძნობის სათავე არის დვთაბერივი სიცოცხლე, სიცოცხლის კანონი, წმიდა სული, ჩვენში მყოფი ქრისტე და ჩვენში მოქმედი ღმერთი – რომ. 8:2, 10-11; ფილიპ. 2:13.
- ბ. დვთაბერივი სიცოცხლე არის უმაღლესი სიცოცხლე, ყველაზე მდიდარი, ყველაზე ძლიერი და ყველაზე მძაფრი შეგრძნება; ეს შეგრძნება არის სიცოცხლის გრძნობა – ეფეს. 4:18.
- გ. სიცოცხლის გრძნობას მივყავართ ჩვენ, გვხელმძღვანელობს ჩვენ, გვმართავს ჩვენ და მიგვმართავს ჩვენ, გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ვიცოდეთ, ვცხოვობთ დვთაბერივ სიცოცხლეში თუ ბუნებრივ სიცოცხლეში, ვცხოვობთ ხორცში თუ სულში – რომ. 8:6.

VI. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ეკლესიაზე სიკვდილის თავდასხმებზე და აგაშენოთ ქრისტეს სხეული ქრისტეს აღდგომის სიცოცხლეში – მათე 16:18; იოანე 11:25; ეფეს. 1:22-23; 4:16:

- ა. ქრისტეს აღდგომის სიცოცხლის წყალობით ჩვენს სულში, ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ ეკლესიაზე განხორციელებულ სიკვდილის თავდასხმებზე – მათე 16:18; საქმე. 2:42; 2 ტიმ. 1:10:

1. დაწყებული ედემიდან. კონფლიქტი ღმერთსა და სატანას შორის ყოველთვის იყო დაკავშირებული სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხთან – რომ. 8:6, 10-11; ებრ. 2:15.
2. მათეს 16:18-ში ნაჩვენებია, თუ რომელი წყაროდან გამოვა თავდასხმები ეკლესიაზე – „ჯოჯოხეთის კარიბჭიდან“, ანუ სიკვდილიდან; სატანის განსაკუთრებული ამოცანა არის ის, რომ გაავრცელოს სიკვდილი ეკლესიის შიგნით, ხოლო ის, რისიც მას ყველაზე მეტად ეშინია ეკლესიასთან დაკავშირებით, – არის ეკლესიის მიერ წინააღმდეგობის გაწევა მისი სიკვდილის ძალისათვის – გამოცხ. 2:8, 10-11.

- ბ. ჩვენ უნდა ვივარჯიშოთ სულში, რათა ავაშენოთ ქრისტეს სხეული ქრისტეს აღდგომის სიცოცხლეში – ეფეს. 2:6, 21-22; 4:16; გამოცხ. 1:18; 2:8; ფილიპ. 3:10:

1. ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, ბუნება არის აღდგომა, ხოლო აღდგომის სინამდვილე არის ქრისტე როგორც მაცოცხლებელი სული – იოანე 11:25; საქმე. 2:24; ეფეს. 1:19-23; 1 კორ. 15:45ბ.
2. როდესაც ჩვენ ვცხოვობთ ჩვენში მყოფი დვთაბერივი სიცოცხლის მეშვეობით, ჩვენ ვცხოვობთ სიცოცხლით აღდგომაში ქრისტეს სხეულის ასაშენებლად – ფილიპ. 3:10-11; ეფეს. 4:15-16; კოლ. 2:19; 3:15.

VIII. „ჩვენ ვიცით, რომ გადავედით სიკვდილიდან სიცოცხლეში, რადგან გვიყვარს მმები“ – 1 იოანე 3:14ა:

- ა. სიკვდილი არის ეშმაკისაგან, ღმერთის მტრისაგან, სატანისაგან, რომელსაც აღნიშნავს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე, რომელსაც მოაქვს სიკვდილი – დაბ. 2:9, 17.
- ბ. სიცოცხლე არის ღმერთისაგან, სიცოცხლის სათავისაგან, და სიცოცხლეს აღნიშნავს სიცოცხლის ხე, სიცოცხლის მომცემი – მუხ. 9, 16-17.
- გ. სიკვდილი და სიცოცხლე გამოდის არა მარტო ორი სათავიდან – სატანისა და ღმერთისაგან; ისინი ასევე წარმოადგენენ ორ არსეს, ორ ელემენტს და ორ სფეროს – იოანე 5:24.
- დ. სიკვდილიდან სიცოცხლეში გადასვლა – ნიშნავს სიკვდილის სათავიდან, არსიდან, ელემენტიდან და სფეროდან სიცოცხლის სათავეში, არსში, ელემენტსა და სფეროში გადასვლას; ეს მოხდა ჩვენი ხელახლაშობისას – 1 იოანე 3:14ა; იოანე 3:3, 5, 15.
- ე. ჩვენ ვიცით, ანუ შინაგანად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ გადავედით სიკვდილიდან სიცოცხლეში, რადგან გვიყვარს მმები; სიყვარული (ღმერთის სიყვარული) მმების მიმართ არის მტკიცე მოწმობა ამისა – 1 იოანე 3:14ა:
 1. უფალში რწმენა ნებას გვაძლევს, გადავიდეთ სიკვდილიდან სიცოცხლეში; სიყვარული მმებისადმი მოწმობს იმაზე, რომ ჩვენ გადავედით სიკვდილიდან სიცოცხლეში – იოანე 5:24; 1 იოანე 3:14ა.
 2. გვქონდეს რწმენა – ნიშნავს მივიღოთ მარადიული სიცოცხლე; გვიყვარდეს – ნიშნავს, ვიცხოვროთ მარადიული სიცოცხლით და გამოვხატოთ ის – იოანე 3:15, 36; 1 იოანე 3:11, 14-18; 4:7-12, 16, 19-21.